



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 492230111

თარიღი:28/10/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 132

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი
ქონებების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის
შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 25 ოქტომბრის N5/59435 და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 27 ოქტომბრის 48-4822300102 წერილები, რომლებშიც დასმულია საკითხი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 108-ე მუხლის შესაბამისად:

1. უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცეს სახელმწიფოს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დანართში მითითებული უძრავი ქონებები, შემდგომში ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით ,სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით.
- 2.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
- 3.განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზ ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 2022 წლის 28 ოქტომბრის №132 განკარგულების
 დანართი №1

№	რაიონი	თემი	სოფელი	ამბულატორია/ მედ. პუნქტი	მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის საკადასტრო კოდი
1	წყალტუბო	მალლაკი	მალლაკი, მიწაწითელა	მალლაკი	29.10.37.366.01.500
2	წყალტუბო	ოფშკვითი	ოფშკვითი	ოფშკვითი	29.16.32.402.01.500
3	წყალტუბო	პატრიკეთი	პატრიკეთი, ტყაჩირი	პატრიკეთი	29.17.31.463.01.500
4	წყალტუბო	პატრიკეთი	პატრიკეთი, ტყაჩირი	ტყაჩირი	29.17.35.013.01.500
5	წყალტუბო	ქვიტირი	ქვიტირი, ზედა მესხეთი	ქვიტირი	29.12.33.342.01.500
6	წყალტუბო	ცხუნკური	ცხუნკური, ყუმისთავი, ჩუნეში	ცხუნკური	29.04.38.054.01.500
7	წყალტუბო	წყალტუბო	წყალტუბო, ქვილიშორი, ჩუნეში	წყალტუბო	29.05.37.233.01.500